პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# წითელი მეომარი

ფასი 3 კაპ.

ყოველდღიური გაზეთი

ხუთშაბათი, 22 აპრილი 1926 წ.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, ევანგულოვის ქ. ელხმენი 2—24.

განცხადების ფასი პირველ გვერდ. 80 კ. სტრ. 4 გვ. 40 კ.

87 (1082) | 1 და 2 ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტ-განების ორგანო | 87 (1082)

## პირველი მაისის დღესასწაული მოახლოვდა

კიდევ რამოდენიმე დღე და ჩვენი კავშირი იდღესასწაულებს მუშათა საერთაშორისო დღესასწაულს—პირველ მაისს.

პირველ მაისის დღესასწაულის ჩვენი კავშირის მასშტაბში ჩატარება, ხომ სულ სხვაგვარი ხასიათის იქნება, ვიდრე ამას ადგილი ექნება ვთქვათ ყვითელ ინტერნაციონალის სამეფოებში.

მართლაც ჩვენი კავშირის მზადება ამ დღესასწაულისათვის დიდი ხნის რაც დაიწყო და უმაღლესი ორგანოებმა ამისთვის სათანადო ინსტრუქციებიც კი გამოუშვა.

ამ ინსტრუქციებში გარკვევით არის აღნიშნული ის, რომ ჩვენ მიერ პირველი მაისის დღესასწაულის ჩატარება არ უნდა იქნეს მატარებელი გასართობი ხასიათის. არამედ ამ დღესასწაულის დროს უპირველესად ყოვლისა, ჩვენი ხელისუფლება ერთხელ კიდევ გამოვა მტრის და მოყვარის წინაშე, როგორც ძლიერი ძალა საერთაშორისო ბურჟუაზიის შესამუსრავათ მოწოდებული.

სულ სხვა ხასიათით იდღესასწაულებს ევროპის პროლეტარიატის ის ნაწილი, რომელსაც ხელმძღვანელობს ყვითელი ინტერნაციონალის ბელადები.

მათი დღესასწაული ეს იქნება უბრალო დემონსტრაცია მათი გამყიდველი სულისკვეთების და მეტი არაფერი.

მაგრამ ამ ჟამათ ჩვენ გვაინტერესებს უფრო სხვა საკითხი. სახელდობრ ის, რომ პირველი მაისის დღესასწაულის ჩატარებამდი ჩვენი ჯარის ნაწილები თავის ცხოვრებაში ატარებენ სხვა და სხვა ხასიათის კამპანიებს.

ეს კამპანიები აუცილებლათ უნდა ჩატარებული იქნეს პირველ მაისამდი და პირველ მაისის შემდეგ კი ჩვენი ჯარის ნაწილებში გატარდება კიდევ სხვა გვარი კამპანიები, როგორიც არის საზაფხულოთ, საკარვოთ გასვლასთან დაკავშირებული კამპანიები და სხვა...

ამიტომ საჭიროა, რომ პირველ მაისამდი ჩასატარებელი კამპანიები კარგად იქნეს შესრულებული და ცხოვრებაში განხორციელებული. მაგრამ თუ როგორ ტარდება ეს კამპანიები ჩვენი წითელი ჯარის ნაწილებში, ამის შესახებ საჭიროა, რომ ჩვენი სამხკორებმა მოგვაწოდონ დაწვრილებითი ცნობები.

ამით ჩვენ საშუალება მოგვეცემა აშკარათ დავინახოთ ის, თუ როგორ ტარდება ეს კამპანიები პირველ მაისამდი, ჩვენი წითელი ჯარის მუშაობის საკეთილდღეოთ.

## პოლონეთის მთავრობის გადადგომა

დეპეშების გადმოცემით სკშინსკის კოალიციონურ მთავრობამ პრეზიდენტს წარუდგინა მოთხოვნა თავის გადადგომის შესახებ. მთავრობის გადადგომა გამოწვეულია ფინანსიური კრიზისის გამო, რომელსაც განიცდის ამჟამად პოლონეთი.

ვარშავის პოლიტიკურ წრეებში გამტკიცებულია ის აზრი, რომ თუ არ მოხერხდა კვლავ კოალიციონური მთავრობის შედგენა, მაშინ აუცილებელი შეიქნება დიქტატურის დამყარება, რაც ფართო მოქმედების ასპარეზს გაუხსნის პოლონეთის ფაშისტურ—მონარქიულ ორგანიზაციებს და პილსუდსკის მომხრეებს.

ეს კოალიციონური მთავრობა შედგენილი იქნა სწორეთ ერთი წლის წინეთ, როდესაც გრაბსკის მთავრობა დაეცა მისი ფინანსიური პოლიტიკის გაკოტრების გამო. ეს ახალი მთავრობა მიზნათ ისახავდა ყველა ეროვნული ძალების გაერთიანებას. ამ მთავრობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ პოლონეთის სოციალისტური პარტიის წარმომადგენლები.

პოლონეთის სოციალისტური პარტია უწევდა რა ანგარიშს პოლონეთის ეკონომიურ მდგომარეობას, მოსალოდნელ ფინანსიურ კრიზისებს, არ უნდოდა თავის იმედები დაემყარებია შესაძლებელ კატასტროფაზე, ან უკეთ რომ ვსთქვათ, რევოლიუციონურ მოძრაობაზე, ვინაიდან მათი აზრით რევოლიუცია უფრო გაართულებდა პოლონეთის ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობას.

მათ ახალ მთავრობასთან თანამშრომლობით სურდათ, პოლონეთის ბურჟუაზიასთან ერთად, დაეძლიათ ის დაბრკოლებანი და სიძნელენი, რომელსაც განიცდიდა პოლონეთის ეკონომიური ვითარება, მისი ვაჭრობა და მრეწველობა. მაგრამ ეს ცდა უშედეგოთ დამთავრდა.

ფინანსიური კრიზისი დაუძლეველი შეიქნა. ფაბრიკა-ქარხნები დაიხურა. უმუშევრობამ ფართე ხასიათი მიიღო. ამას მოყვა მთავრობის მკაცრი ზომები და უმუშევართა დახვრეტებიც კი. ყველა ამან უფსკრული გათხარა მთავრობასა და მუშათა კლასის შორის.

პოლონეთის მთავრობა ერთ ხანს ჰფიქრობდა ამ კრიზისებისათვის თავი დაეხწია ჩვენთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარებით. მაგრამ ჩვენთან დაახლოების სურვილი პოლონეთში იწვევდა მემარჯვენე წრეების გაშმაგებულ კამპანიას ჩვენს წინააღმდეგ.

მემარჯვენეები ხსნას ელიან ფაშისტურ დიქტატურის გამოცხადებაში. ისინი კიდეც ჰფიქრობენ პოლონეთის ტახტზე მოიწვიონ ინგლისის მეფის შვილი. მემარცხენე ბურჟუაზია კი შესაძლებლად სთვლის შინაურ, „დემოკრატიულ" ფაშიზმს და ხელისუფლების სათავეში ეპატიჟებიან პილსუდსკის.

კოალიციონური მთავრობის გადადგომით, ფართო გასაქანი ეძლევათ ფაშისტურ დიქტატურის მომხრეებს.

თ. განგეს.

# ახალი რადიო ამბები

## შეტაკება იტალიელებსა და ბედუინებს შორის

### აჯანყებულებმა გაანადგურეს იტალიის ათასორასიანი რაზმი

ეგვიპტის დასავლეთ საზღვარზე იტალიელებსა და ბედუინებს (არაბთა ტომები) შორის მოხდა შეტაკება. შეტაკება გამოწვეულია იმით, რომ ბედუინებმა არ იცვნეს ჯერაბუბის ოლქის გადასვლა იტალიის ხელში.

ბედუინებმა სრულიად გაანადგურეს იტალიის 1.200-ანი რაზმი, ხელთ იგდეს დიდძალი სამხედრო ალაფი და ჩამოაგდეს იტალიის ერთი ჰაეროპლანი. აჯანყებულთა მეთაურმა სეიდ ომარ-მუხთარმა გადაიტანა თავისი შტაბი ტობრუკში და ემზადება ჯერაბუბზე დასაცემად. აჯანყებულებს დახმარებას უწევენ ბედუინთა სხვა ტომები, რაც მეტად ართულებს იტალიელთა მდგომარეობას.

## ბრძოლა საფრანგეთის ბატონობის წინააღმდეგ

### ფრანგებმა დაიწყეს შეტევა სირიაში

ფრანგებმა უკვე დაიწყეს შეტევა ლივანის სამხრეთ ნაწილში (სირიაში). აჯანყებულები გაურბიან ბრძოლას და იხევენ გორმინის მთებში.

ფრანგები იმავ დროს ჯებილ-დრუზზედაც ამზადებენ შეტევას სამი მიმართულებით. ფრანგების ძალთა გადაჯგუფებას ძალიან უშლის ხელს აჯანყებულები დერაასა და დამასკს შორის.

დამასკიდან მასიურად გარბის მოსახლეობა. ფრანგები ღებულობენ საწინააღმდეგო ზომებს, ვინაიდან ეშინიათ, რომ დამასკიდან გადახვეწილებ შორის პოლიტიკური აგიტატორებიც იმყოფებიან, რომლებიც შეეცდებიან ააჯანყონ სირიის სხვა ოლქებიც საფრანგეთის ბატონობის წინააღმდეგ.

## ერთი დროშის ქვეშ.

შანხაის (ჩინეთში) გლეხთა კონფერენციამ გამოიტანა დადგენილება გლეხთა ინტერნაციონალზე შეერთების შესახებ. კონფერენციის მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ ეს გადაწყვეტილება შან-დუნის გლეხთა პირველი ნაბიჯია განმათავისუფლებელ ბრძოლის გზაზე ყველა ქვეყნების გლეხთა დროშის ქვეშ.

## მიმართვა ყველა ქვეყნების მუშები სადმი

ნორვეგიის კომპარტიის გაზეთი განმარტებას უკეთებს ჩიჩერინის უკანასკნელ ნოტას ერთა ლიგის მდივნისადმი და ამბობს:

„თუმცაღა ნოტა მიმართულია ერთა ლიგის მდივნისადმი, მაგრამ არსებითად კი ის წარმოადგენს საბჭოთა კავშირის მუშების მიმართვას ყველა ქვეყნების მუშებისადმი, გაფრთხილებით იმ საშიშროების წინააღმდეგ, რომლითაც აღსავსეა ერთა ლიგის პოლიტიკა".

## ფუნტიკოვის გასამართლება

### ესერებისა და მენშევიკების საზიზღარი მოქმედება ბაქოს პროლეტარიატის დამარცხების საქმეში.

### ინგლისელების მიზანი იყო გაეტანა ბაქოს ბუნებრივი სიმდიდრის მთელი მარაგი.

### სასიკვდილო განაჩენი მთვრალებს გამოჰქონდათ

—

### ამხ. ლოლობერიძის ჩვენება

20 აპრილის სხდომაზე გრძელდება მოწმეების დაკითხვა. მოწმე ლევან ლოლობერიძე იწყებს თავის ჩვენებას იმ დროიდან, როცა ბაქო ოსმალებმა აიღეს. მოწმის სიტყვით ქალაქში არ ყოფილა ისეთი ქუჩა, სადაც არ ყოფილიყო ჩამოხჩობილები.



ფუნტიკოვი.

ბოლშევიკები იძულებული იყვენ დადევნებულ მხეცებით ეშველათ თავისთვის.

ახასიათებს რა მაშინდელ ბაქოს რეჟიმს, მოწმე ამბობს, რომ მუსავატელები, დაშნაკელები და ესერები სათამაშო ტიკინებად იყვენ ინგლისის გენერალ ტომპსონის ხელში. ინგლისელები ცდილობდენ ამოექაჩათ სულ ნავთის მარაგი და გაეტანათ, რათა აზერბეიჯანის გასაბჭოებისთვის არავითარი მარაგი არ დარჩენილიყო.

შემდეგ მოწმე ეხება ქართველ მენშევიკების კავშირს მუსავატელებთან და სხვათა შორის აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ მენშევიკებმა გაგზავნეს მუსავატელების განკარგულებაში 500 ოფიცრისაგან შემდგარი რაზმი ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად.

შემდეგ სასამართლოში წაკითხულ იქნა რამოდენიმე მოწმეს წერილობითი ჩვენება და ბოლოს დაკითხულ იქნენ მოწმეები ხრიაპი და ხრაბროვი.

### ბრალმდებელი დასკვნებზე მიუთითებს

უკანასკნელ მოწმეების დაკითხვამდი სახელმწიფო ბრალმდებელი ქავთარაძე მიაქცევს სასამართლოს ყურადღებას შემდეგ მნიშვნელოვან დასკვნებს, რომლებიც გამომდინარეობენ მოწმეების ჩვენებებიდან: „ერთი რომ გამორკვეულია ფაქტი საბჭოთა ხელისუფლების ჩამოგდების ცდებისა ბაქოში ჯერ კიდევ 1918 წლის აპრილში.

შემდეგ გამორკვეულია პროვოკაციული როლი საბჭოთა მოწინააღმდეგე პარტიებისა, რომლებიც ატყუილებდენ ბაქოს პროლეტარიატს ინგლისის მხრივ დახმარების დაპირებით.

მესამეთ—სავსებით გამორკვეულია ბაქოს მუშების მაშინდელი განწყობილება ბოლშევიკების სასარგებლოდ, მიუხედავად საბჭოთა მოწინააღმდეგე პარტიების პროვოკაციებისა".

### მოწმე ხრიაპას ჩვენება

მოწმე ხრიაპა ამბობს:—ასხაბადის 9 კომისარის დახვრეტის შემდეგ, ესერების აღმასკომის დადგენილებით —ფუნტიკოვის თავმჯდომარეობით, გამოწვეულ იქნა სასწრაფო მატარებელი, რომლითაც წაიყვანეს დასახვრეტად ბაქოს კომისრები.

„ისეთი უმსგავსოება—ამბობს მოწმე—რასაც ადგილი ჰქონდა ესერების აღმასკომში ფუნტიკოვის თავმჯდომარეობით, არ მინახავს მეფის რეჟიმის დროსაც კი. განაჩენი დახვრეტის შესახებ გამოჰქონდათ მთვრალებს და ყოველგან თვითნებობა იყო გამეფებული".

ფუნტიკოვი ეკითხება მოწმეს:

„იცოდით თუ არ თქვენ, რომ მე დაპატიმრებული ვიყავი ინგლისელების მიერ?"

მოწმე უპასუხებს: „ეს მე არ მეხებოდა. მე ვიცი მხოლოდ ის, რომ თქვენ არ ზოგავდით მუშებსა და წითელ არმიელებს და დაუზოგავად ხვრეტდით მათ".

## პოლონეთის კოალიციური მთავრობის კრიზისი

მოხდა პოლონეთის სეიმის სოციალისტების ფრაქციისა და ცენტრალური კომიტეტის შეერთებული სხდომა, რომელზედაც დადგენილ იქნა უარყონ ფინანსთა მინისტრის პროგრამა და გადადგომის წინადადება მიეცეს სოციალისტ მინისტრებს.

ჟურნალისტებთან საუბარში პოლონეთის სოციალისტების დეპუტატმა მარეკმა განაცხადა, რომ სოციალისტ მინისტრების გადადგომა ნიშნავს კოალიციურ მთავრობის (სხვა და სხვა პარტიების წარმომადგენლებისაგან შემდგარი მთავრობა) დაშლას და უნდა გამოიწვიოს სკშინსკის მთელი კაბინეტის გადადგომაო.

# იმპერიალისტების შეიარაღებული ძალები კოლონიებში.

იმპერიალისტების ერთ-ერთ „მშვიდობიან“ იარაღს კოლონიებში წარმოადგენს ევროპისა და ადგილობრივი პოლიცია და ჟანდარმერია.

პოლიცია და ჟანდარმერია სდგება უმთავრესად უნტეროფიცრებითა და ჯარისკაცებით, რომლებსაც დაუსრულებიათ სამსახური ჯარში. პოლიციისა და ჟანდარმერიის რიცხვი კოლონიებში მეტად დიდია.

მაგალითად ინდოეთში, ბელუჯისტანში ათას მცხოვრებზე მოდის ხუთი პოლიციელი, ჩრდილო-დასავლეთ სანაპირო ოლქში 1.350 მცხოვრებზე—ერთი პოლიციელი, ქალაქ დელში 244 კაცზე—ერთი პოლიციელი.

რაც შეეხება ჯარების შეფარდებას, ინდოეთში—ინდოეთის არმიის ყოველ სამ ერთეულზე მოდის 1 ერთეული ინგლისის რეგულიარული ჯარისა. ამასთან ადგილობრივ მკვიდრთაგან შემდგარი ჯარების ძირითადი ბირთვი შემდგარია ქვეითისა, ცხენოსნებისა და „დამხმარე სამსახურისაგან“ იმ დროს, როცა ევროპის ჯარების მთავარი მასა შესდგება არტილერიის, ავიაციისა და ჯავშნოსნებისაგან. ცხადია ეს იმიტომ, რომ მორჩილებაში იყოლიონ ადგილობრივი ჯარები.

ევროპისა და ფერადი ჯარების შეფარდება „რომ ავიღოთ კოლონიებში, უმეტესობა ფერადების მხარეზე იქნება. ინდოეთში—ინდოეთის არმიის 170.000-ზე მოდის 62.000 ინგლისის რეგულიარული არმია. მაგრამ თუ ვიანგარიშებთ, რომ ბრძოლის ყველა თანამედროვე საშუალებანი აქვს მხოლოდ ინგლისის არმიას, აშკარა გახდება, რომ ძალთა შეფარდება ან თანაბარია, ან თითქმის ინგლისელების მხარეზე სწონის.

ინგლისის გაზეთები ბევრს სწერენ კოლონიებში ჯარების შემცირებაზე ომამდე არსებულ რაოდენობასთან შეფარდებით. მაგრამ ამასთან არაფერს ამბობენ იმაზე, რომ კოლონიალურ არმიებში აძლიერებენ შეიარაღებას. ამას ამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტში სამხედრო ხარჯების მომატება თითქმის 99 პროც.-ით.

მაგრამ როგორც ჩანს ასეთია ისტორიის ლოღიკა. რამდენადაც ნაკლებ მტკიცე ნიადაგზე იქნება იმპერიალიზმის მდგომარეობა კოლონიებში, მით უფრო მეტი ხარჯები დასჭირდება მას მათ შესანახად.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ ის როლი, რომელსაც მიაწერენ ფერად ჯარებს საფრანგეთის ბურჟუაზიული პოლიტიკური მოღვაწეები.

საფრანგეთის იმპერიალიზმის გეგმებში შედის მილიონიან ფერადი არმიის შექმნა გერმანიის წინააღმდეგ და საფრანგეთის პროლეტარიატის რევოლიუციონურ მოძრაობის ჩასახშობად.

ეს გეგმა შეიძლება ვერც კი განხორციელდეს, თუ რომ რევოლიუციონური მოძრაობა მეტროპოლიებში შეუერთდება კოლონიების ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობის ტალღას.

ერთი უდავოა: თუ რომ ფერადი არმია წარმოადგენდა დიდ ძალას საფრანგეთის იმპერიალიზმის აყვავების პერიოდში, ეხლა, როცა უკანასკნელს ნიადაგი თანდათან ულპება, იგივე ძალა წარმოადგენს მისი დასუსტების ელემენტს.

სტ. უ—კი.

# ბრძოლა მთიან ადგილებში.

მთიანი ადგილებისა და მათი გზების თავისებურობის გამო ერთეულები მოძრაობისათვის უნდა გაგრძელდეს დიდ მანძილზე, რაიც ხელსაყრელი არ არის და რაიც იწვევს ზომების მიღებას, როგორიცაა ერთი ნაწილის რამოდენიმე „რაზმეულად“ მოძრაობა. მასთან ასეთი გრძელი „რაზმეულის“ ფრთები მეტად სახიფათოა, რაიც მეტად მოითხოვს თავის მხრივ ფრთების დამცველ ცალკე რაზმების გაშვებას.

საერთოდ ტაქტიკა ასეთ პატარა ზომსადარით და სტრატეგია გვეუბნება უმთავრესად იმპერიალისტური ომების შემდეგ, რომ შეჯგუფული მოქმედება, „დასარტყმელი მუშტი“ და დიდი ძალით ერთ ადგილას იერიშის მიტანა იძლევა უპირატესობასო. ეს აზრი უსათუოდ სწორია, მარტო ვაკეზე მოქმედებისას. ასეთ კონცენტრაციის შესატევ უმთავრეს მიმართულებაზე ჯგუფს აქვს ასეთი უპირატესობა, და ადვილი შესაძლებელია ჰქონებოდა ქდა ექნებოდა კიდეც ასეთი მნიშვნელობა მთიან ადგილებშიაც, თუ მთიან ადგილებს ხასიათით წამზგავსება ექნება ველიან მიდამოებთან.

მთაში მოქმედების დროს ერთი „რაზმეულის“ მიშველება და სვლა გადმოსვლა ერთი მიმართულებიდან მეორეზე ძალიან შეზღუდულია, ე. ი. მანევრიანობა მეტად განსაზღვრულია. ამისათვის ყოველივე ცალკე მიმართულებით მომქმედი „რაზმეულები“ თავისი რიცხვითა და მათთვის მიკუთნებულ დამხმარე საშვალებებით ისე უნდა იქნეს შედგენილნი, რომ ყოველს მათგანს შეეძლოს განკერძოებულად მიიღოს ბრძოლა, რომ მას ქონდეს უნარი კერძო განსაკუთრებული ამოცანის საკუთრივ გადაწყვეტისა.

აქედან მანევრიული მთის ომი ესდგება განკერძოებული ცალკე შეტაკებებისგან, ცალ-ცალკე მებრძოლ პატარა ნაწილების მოქმედებისგან, რომელთაც არ აქვთ მჭიდრო კავშირი ერთმანეთს შორის ბრძოლის დროს, სადაც ყველა ცალკე, შედარებით პატარა ერთეულები სწყვეტს თავის საკუთარ ამოცანას საერთო ამოცანის თანახმად. ამისათვის უფროს მეთაურს—უფროს ხელმძღვანელს უძნელდება მდგომარეობა—მისი გავლენა ნაწილზე მცირდება. როგორც წესია, მასთან არის საერთო რეზერვის ნაწილები, რომელთა დაბანაკების ადგილი მეტისმეტი ძნელი ამოსარჩევია. მაგ.: თუ მას ეს რეზერვი ყავს ბრძოლაში გაბმულ ნაწილებთან ახლოს, მაშინ ფრთების მოთხოვნილების დაკმაყოფილება მოითხოვს დიდს საქმიანობას; თუ რეზერვი დგას შორს, უკან, მოსალოდნელია, რომ ის დაიგვიანებს მოთხოვნილებისამებრ ამა თუ იმ წერტში მისაშველებლად. ვინაიდან გადაჯგუფ-გადმოჯგუფება მთებში და შემომკვრელი „მუშტის“ შექმნა მეტის-მეტი ძნელია ბრძოლის დროს ამისათვის თავიდანვე განაწილება ძალებისა პირველი და აუცილებელი ამოცანაა უფროსი მეთაურისა, ე. ი. ძალები ისე უნდა იყოს თავიდანვე განაწილებული, რომ გადამწყვეტ მეტ საყურადღებო წერტეში მტერს ვჭარბობდეთ ძალით.

რამდენათაც ეს შესაძლებელი იქნება კერძოთ მსვლელი „რაზმეულები“ უნდა იჭერდენ ერთმანეთს შორის კავშირს. რაზმეულების ერთი ზღვარიდან მეორეზე გადასვლას, სანამ ისინი არ შეხვდებიან პირისპირ მტერს, ხელმძღვანელობს უფროსი მეთაური, მაგ. ამა და ამ საათისთვის „რაზმეულებმა“ მიაღწიონ № სოფ. „ა“-ს, № 1 „ბ“-ს და სხვა, რომელნიც უფროს მეთაურს წინდაწინ აქვს გამოზომილი ფარგლის ან სხვა ხელსაწყოს საშვალებით რუქაზე.

დ. მ.

# ხანდაკოვა და სანგრის სახეები.

ბრძოლის ველზე თვითეულ მსროლელს, მეტყვიამფრქვევეს, გრანატის მტყორცნელს და სხვა მეომრებს მოუხდება ბარით სარგებლობა ცალკეული სანგრების ამოსათხრელად.

ცალკეული სანგარი სჭირდება მეომარს პირველ ყოვლისა იმისთვის, რათა აგებულ იქნას დასაყრდნობი შაშხანისთვის, რის გამოც გაძლიერდება სროლის სიმარჯვე, მეორეს მხრივ სანგარი დაიფარავს მეომარს მტრის თვალისა და ტყვიისაგან.

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ ბარი მეომრისათვის მეტად მნიშვნელოვანი და აუცილებელი ხელსაწყოა. აქედან შემდეგი დასკვნა: მეომარს უნდა შეეძლოს ამ ბარის კარგი მოხმარა და მოვლა (წმენდვა და ზეთვ).

ზოგიერთი მეომარი ვერ აფასებს ბარის მნიშვნელობას ბრძოლაში და ამბობს, რომ თხრილების დამზადება ეს მარტო მესანგრეების საქმეა. ასეთი შეხედულება არაა სწორი. მესანგრეები ომ ს დროს არ ამზადებენ სანგრებს ცალკე მეომრებისა ან მცირე ჯარის ერთეულებისთვის; ისინი ამზადებენ დიდ, საინჟინერო ნაგებებს, უმთავრესად იმ ადგილებში, სადაც იმყოფება უფრო საპასუხისმგებლო საბრძოლო უბნები.

რაც შეეხება სანგრების აგებას მეომრისთვის, მათი დამზადება კარგად უნდა შეეძლოს თვით მეომრებს. ხოლო რაკი ეს ასეა, საჭიროა ვიცოდეთ სანგრების ყველა სახე მათი ზომა და დასახელება, და აგრეთვე აგებაც. ყველა ძირითადი სანგრები სამი სახისაა: 1) სანგარი მწოლარესთვის (ითხრება არშინის მეოთხედი სიღრმით და უკეთდება წინ მიწის ნაყარი მეოთხედი არშინის სიმაღლის); 2) სანგარი დაჩოქებით სროლისთვის (ითხრება სამი მეოთხედი არშინის სიღრმით და უკეთდება მიწის ნაყარი ნახევარი არშინის სიმაღლით) და 3) სანგარი ადგომით სროლისთვის საფეხურითა და უსაფეხუროდ (თხრილის ძირიდან), რომელსაც აქვს სიღრმე ნაყარი მიწიანათ 2 არშინი.

სანგარი დაწოლილი სროლისთვის, როგორც უფრო მარტივი ადვილი ასაგები, ჩვეულებრივად მზადდება მეომრის მიერ ყოველგვარ გარემოებაში, მცირე შეჩერების დროსაც კი. თუ რომ დრო და გარემოება ხელს შეგვიწყობა, ეს სანგარი ღრმავდება დაჩოქით სროლისთვის, ხოლო შემდეგ შეუერთდებიან ერთმანეთს და ღრმავდებიან ადგომით სროლისთვის.

სანგრის მოთხრის დროს აუცილებლად უნდა გვქონდეს მხედველობაში კარგი სასროლი არე და არ უნდა დაიკარგოს კავშირი მეზობელ მეომრებთან და თავის უფროსთან. სანგრის მოსათხრელად მეომარი უნდა წამოწვეს მარცხენა გვერდზე, და მარჯვენა ხელის მაღლა აუღებლად, ფრთხილად უნდა სთხაროს მიწა და დაიყაროს წინ. შემდეგ სანგარი აუცილებლად უნდა შენიღბოს ადგილმდებარეობას ფერთან შეხამებით; წინააღმდეგ შემთხვევაში სანგარი არამც თუ არ დაიფარავს მეომარს მტრის თვალისაგან, არამედ უფრო თვალსაჩინოდ გახდის მას მტრისთვის.

ი. ბ.

**ამხ. ამხ. წითელარმიელებო გამოიწერეთ, და გაავრცელეთ თქვენი გაზეთი „წითელი არმიელი“**

# ყაზარმის სურათები

დაღამდა.

ქალაქში მრავლად აინთო სინათლე.

დღისით მუშაობით მოქანცულნი მოქალაქენი ისვენებენ, რომ მოიკრიფონ ძალ-ღონე შემდეგი დღისთვის.

ყაზარმაშიც ჩამოვარდა სიჩუმე. წითელარმიელნი დღიურ მუშაობის შემდეგ მისცემიან მოსვენებას.

ზოგი ისვენებს საწოლზე, ზოგი გართულია კითხვაში. აგერ ერთ კუთხეში მოუყრიათ თავი წ. არმიელებს და ხმა დაბლა გაუბამთ ბაასი.

მეტი წილი არმიელების კი თავმოყრილნი არიან ლენინის კუთხეში. ეს არის მათი საყვარელი დასასვენებელი ადგილი. იპოვნიან თუ არა დროს, იქითკენ მიეშურებიან, რომ დაისვენონ კიდეც და ნაყოფიერადაც გაატარონ დრო. იქ ისინი ნახავენ და გაიგონებენ ბევრ ახალ რამეს. უყვარს არმიელებს თავისი ხელით შექმნილი და გალამაზებული კუთხე, ყველას მიუძღვის ცოტაოდენი ღვაწლი მაინც მის შექმნაში; ამიტომ არის, რომ ასე სიყვარულით ულოლიავებენ მას და სცდილობენ, რომ იგი არ ჩამორჩეს სხვა ლენინის კუთხეს.

— ვითომ № ასეულის კუთხე სჯობიან ჩვენ კუთხეს? არა, ტყუილად ნუ ტრაბახობენ, აბა ნახე ჩვენი სამხედრო განყოფილება და შეადარე მასს, რომელი უფრო კარგია.

— რა სამხედრო, რომელი განყოფილებაც გინდა აიღე, თუნდა მარტო ჩვენი გაზეთი. რა შედარებაა—თამამად გაიძახიან არმიელები... და საღამო ჟამს, როდესაც დადგება დასვენების დრო, ლამაზი სანახავია ლენინის კუთხე. იგი წარმოადგენს ერთ ცოცხალ არსებას, რომლის ყოველი ორგანო მოქმედობს და აკეთებს საზოგადო საქმეს.

აქ ყველაფერია—პოლიტიკა, ლიტერატურა, მხატვრობა, სიმღერა, მეცნიერება...

აი ფერად ფანქრებით ხელში არმიელნი ჯერედ გაუბედავად ხატავენ სხვა და სხვა საგნებს, არ ემორჩილებათ ფანქარი, ხაზი ვერ გამოდის სწორე, მაგრამ, არა უშავს რა, შეეჩვევა ხელი და შემდეგისთვის ნახატიც კარგი იქნება.

აქვე დახელოვნებული მხატვარი არმიელი ქმნის ლოზუნგს, რომლითაც დაამშვენებს ყაზარმის კედელს; გრძნობს, რომ სხვები უყურებენ მას, შეიძლება შურითაც, რომ ასეთი კოხტა ასოები გამოჰყავს და სცდილობს, რომ მეტი სილამაზე შეიტანოს წერაში.

აქ ახლად წერა-კითხვა შესწავლილი არმიელი დიდის ჯაფით სცდილობს დასძლიოს „სურამის ციხე“. კითხულობს გაჭირვებით, სვენებით და უნდა ნახოთ მისი სიხარული, როდესაც ამოიკითხავს მთელ წინადადებას და მისწვდება მის შინაარსს; ისე იღიმება მისი სახე, ისეთი ბედნიერებაა მასზე აღბეჭდილი, რომ უნებურად გაიღიმებთ მის ასეთ გამარჯვებაზე.

მართლაც, რომ გამარჯვებაა; სახლიდან რომ მოვიდა არც კი იცოდა, რა იყო წიგნი, ეხლა კი, ხედავთ „სურამის ციხეს“ კითხულობს და სახლში დედ მამას უგზავნის საკუთარი ხელით დაწერილ წერილს.

აგერ, იქითა მაგიდაზე, იქ სერიოზული ხალხია მოგროვილი, ნუ ეხუმრებით, მათ კალამი კარგა უჭრით—ესენი არიან სამხკორები. ხედავთ, რა გაფაციცებით სწერენ რაღაცას. ისინი ამზადებენ მასალას გაზეთებისათვის: ვინ იცის, რა აზრი არა ტრიალებს მათ თავში: იქნება აქებენ ვისმეს, იქნებ უწუნებენ ვისმეს საქციელს ან, აძლევენ რჩევა—დარიგებას ვერ მიხვდები ამათ გულის ზრახვას.

უაყალ-მაყლოდ არ გათავდება საქმე, რაიმე ინციდენტი მაინც მოხდება კუთხეში. არა პირად ანგარიშების გასასწორებლად, არა, უეჭველად პოლიტიკურ ნიადაგზე. აყალ-მაყალში დამნაშავე იქნება ან პოლონეთი, ან ამერიკა, ან იაპონიის პოლიტიკა ჩინეთის მიმართ.

ამ დროს საჭიროა ძლიერი ავტორიტეტი პოლიტხელის, ან მეთაურის, რომ ჩამოაგდოს ზავი მოჩხუბართ შორის, შემდეგ დაწყნარდება რა კუთხე, დაშოშმინდება ნერვები, ცხოვრება კუთხეში იღებს მშვიდ სახეს და მიდის ჩვეულებრივი ნაბიჯით.

ზოგი ერთი არმიელი გადავარდნილია ღრმა მეცნიერებაში. მას არ აკმაყოფილებს საკითხის ზერელედ გაცნობა, მას უნდა ღრმად ჩასწვდეს საკითხს შიგ გულამდის, უნდა შეიჭვრიტოს და გაიგოს ყველაფერი გეოლოგია, ასტრონომია, ადამიანის წარმოშობა, დარვინის თეორია, კითხულობს სამეცნიერო წიგნს და თან იწერს უბის წიგნაკში გაუგებარ, ძნელ მისახვედრ სიტყვებს. როცა კი ჩაიგდებს ხელში პოლიტხელს მოდის ამ სიტყვების ახსნით რამდენი ხანია გულით სურს, შეიძინოს უცხო სიტყვათა ლექსიკონი, აგროვებს კიდეც სათანადო თანხას.

დრო გადის შეუმჩნევლად, უკვე კარგა ხანია გასული. კუთხეში არ სწყდება ქრიამული და ცხოვრების ძარღვი ისევ ძლიერად სცემს.

ერთი მხრიდან მოისმა ტკბილი სიმღერის დასაწყისი, ყველამ ყურები სცქვიტა, ყველას ღიმილმა გადაურბინა სახეზე, თითქო ელოდნენ დაწყებას სიმღერისას, არმიელები გაეშურენ იმ კუთხისაკენ. და შექმნა ძლიერი ტკბილი ხორო.

ვის ახსოვს ძილი, რათ უნდათ ძილი. მღერიან ტკბილად მღერიან ერთგულად, ხმა შეწყობილათ.

და მათი სიმღერა ამხიარულებს ყაზარმის კედლებს და აღწევს ახლო-მახლო მიდამოებს.

გამვლელ-გამომვლელნი სიმღერის ხმაზე შეჩერდებიან, ცოტა ხნით დაუგდებენ ყურს, შეხედავენ ყაზარმის კედლებს და განაგრძობენ გზას.

ოდეს იჯერებენ გულს სიმღერით,

დაიძინებენ ტკბილათ ძალის მოსაკრებათ

შემდეგი, მომავალ შრომისთვის.

ი—ა.

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## აგიტ-პროპ. კოლექტივის მუშაობა

1-ლი არტლეგიონი.

ერთი თვე სრულდება, რაც ჩვენს ნაწილში ჩამოყალიბებულ იქნა აგიტ-პროპ. კოლექტივი. კოლექტივში ითვლება 23 აქტიური წევრი, რომელთაც ხელმძღვანელობს პ/კოლექტივის მიერ გამოყოფილი სამი კაციდან შემდგარი კომისია.

პ-კოლექტივის წევრები დიდ ყურადღებას იჩენენ ყველა საკითხების შესწავლაში.

კოლექტივში ჩატარებულ იქნა ერთი მეცადინეობა XIV პარტ-ყრილობის რეზოლიუციებზე ა. ლ. კ. კავშირის მუშაობის შესახებ. მეცადინეობა საინტერესო იყო მხოლოდ, შეთვისების მეტი ნაყოფიერებისთვის საჭიროა, რომ თემები შემცირდეს.

იმედია შემდეგში აგიტ-პროპ კოლექტივის ხელმძღვანელი კომისია მიაქცევს ყურადღებას ყოველივეს და I მეცადინეობის გამოცდილებიდან ისარგებლებს და აიშორებს ნაკლს.

სამხედრო ტ—ლი.

## როგორ ვეხმარებით ადგილობრივ ორგანიზაციებს.

მე-4 ლეგ. 9 ასეული.

ასეულის უფ-პოლიტშემადგენლობამ დიდი ავტორიტეტი დაიმსახურა მაზრისა და ადგილობრივ სოფლების ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში. ნაწილის მეთაურები ყოველმხრივ ეხმარებიან გლეხებს სხვა და სხვა საქმეების მოგვარებაში, რაც დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს მათში. სწორედ ამიტომ საბჭოთა არჩევნების დროს ჩვენი ამხანაგები სრულად გაიყვანეს ადგილობრივ საბჭოებში წევრებად. თემის საბჭოებში კი თითქმის ჩვენი ყოფილი წითელი არმიელები—ცვალებადელები არიან გაყვანილი.

ყოველმხრივად დახმარებას უწევთ ადგილობრივ დაწესებულებებსაც. საერთოდ ნაწილი დიდ მონაწილეობას ღებულობს აღმშენებლობითი საქმეებში.

სამხედრო ა. იმერლიშვილი.

## 1-ლი არტლეგ. სამოსწავლო სამჭედლოში.

სამჭედლოში მოვლენილი ვართ სხვა და სხვა ლეგიონებიდან წითელარმიელები სანალბანდო კურსების გასავლელად. ამხანაგები ენერგიულად ეკიდებიან თავის მოვალეობას და გულმოდგინეთ სწავლობენ. მხოლოდ გავდივართ თეორიას და ცხენის დაჭედვას. სხვას იერაფერს ვაკეთებთ, რადგან არ გვაქვს საჭირო იარაღები და მუშაობისათვის კი ნახშირი. თითქმის ორი თვეა უნახშიროდ ვართ. ერთხანს მოგვიტანეს ქვანახშირი, მაგრამ ამით მუშაობა შეუძლებელი შეიქნა. კარგი იქნება მოგვაქციევდენ ყურადღებას და უზრუნველგვყოფდენ საჭირო მასალებით. წინააღმდეგ შემთხვევაში მიზანს ვერ მივაღწევთ მთლიანათ.

წ. არმ. იხარი.

## უნდა გამოვიყენოთ.

ამ ბოლო დროს ნაწილების პოლიტ-კაბინეტებში მუშაობის შესაძლებლობა გაიზარდა. პოლიტ-კაბინეტში ჩამოყალიბებულია სხვადასხვა განყოფილებები. თითეულს ყავს თავისი გამგე. პოლიტ-კაბინეტში ყველა დარგისათვის არსებობს ისეთი სქემები, რომ მათი შესწავლა თითეულ მუშაკს მისცემს ცოდნას ამა თუ იმ ორგანიზაციების ჩამოყალიბებისთვის.

პოლიტ-კაბინეტში ჯგუფის ხელმძღვანელთათვის არის როგორც მეთოდიურ დარგში დამხმარე მასალები, ისე მათი ორგანიზაციული მოქმედების სქემა, მაგრამ სამწუხაროდ არ ხდება მათი შესწავლა. ამის მთავარი მიზეზია ის, რომ სქემები და პლაკატები შედგენილია რუსულად. ამხანაგების უმრავლესობამ კი ეს ენა არ იცის.

ვისაც შესწევს ძალა და უნარი მათი ახსნის, ისინი არ იწუხებენ თავს და ჯგუფის ხელმძღვანელებს არ აძლევენ შესაფერ ახსნა-განმარტებას. ჯგუფის ხელმძღვანელების მომზადება კი მათ ახსნა-განმარტებას მოითხოვს, რომ გაძლიერდეს მეთოდიურ კომისიაში მათი მუშაობა და დაწვრილებით გაეცნონ ახალ—კომპლექსიურ სისტემას.

ამიტომ საჭიროა პოლიტ-კაბინეტში ხდებოდეს სისტემატიური მეცადინეობა ჯგუფის ხელმძღვანელების, უფროსი პოლიტ-ხელის და უფროსი მასწავლებლის მიერ. ეს მით უმეტეს ახლაა საჭირო, რადგან რამოდენიმე დღის შემდეგ ბანაკში უნდა გავიდეს ნაწილი და თუ შესაფერი ცოდნა არ ექნა ხელმძღვანელებს იქ ვერ შესძლებენ კაბინეტების სათანადოთ მოწყობას. საჭიროა ბანაკში გვყავდეს უფრო მეტი დახელოვნებული ხელმძღვანელები, რომ ახალი დამაბრკოლებელი მიზეზები ავიშოროთ მეცადინეობის დროს.

სამხედრო ტ. ხეველი.

## ამხ. ორჯონიკიძის სახელობის ამიერ-კავკას. სამხედრო მოსამზადებელი სკოლა

აღნიშნულ სკოლაში კავკასიის ყველა ცხოვრების წარმომადგენლები არიან თავმოყრილი. ის ნამდვილი ინტერნაციონალურია.

პირველად სკოლა დაარსდა 1922 წელში და ამ ხნის განმავლობაში ის ენერგიულად ეწევა დავალებული საქმის კეთებას.

სკოლაში სწავლა სწარმოებს ლაბორატორიული წესით. დაარსებული გვაქვს სხვა და სხვა წრეები. სკოლის ქართული განყოფილების დრამწრეს ყავდა შტატით ხელმძღვანელი, მაგრამ მისი შემცირების შემდეგ მუშაობა წრის მაინც არ შესუსტებულა, რადგან მას კარგ ხელმძღვანელობას უწევს მასწავლებელი სალარიძე.

სკოლის ქართული ასეული სხვა მხრივაც დიდ მუშაობას აწარმოებს კულტურულ განმანათლებელ და პოლიტიკური საქმიანობის დარგში.

ქართველებთან, როგორც სხვა ასეულებში ხშირად ტარდება აგრეთვე ლექციები და საუბრები სხვა და სხვა საკითხებზე.

ჩვენთან წარმოებული მუშაობა იმედს გვაძლევს, რომ გავამართლებთ ხელისუფლების მიერ ჩვენზე დამყარებულ იმედებს და ღირსეული მეთაურები დაუბრუნდებით ჩვენს ნაწილებს.

სამხედრო ს. გ. მელქაძე.

## ხშირად ასეთი ექსკურსიები

მე 2 ლეგ. მე 2 ათასეული

11 აპრილს ათასეული გაემგზავრა ადგილობრივ ქარხნის და ჩაის პლანტაციების დასათვალიერებლად. წითელ არმიელებს მეტად ესიამოვნათ ეს გარემოება. დიდი ხანია გვინდოდა მოგვეწყო ექსკურსია, მაგრამ აქამდე ვერ მოგვიხერხებია. გავეცანით დაწვრილებით ჩაის პლანტაციების წესს. პლანტაციის გამგე დაწვრილებით გვიპასუხებდა ყველა შეკითხვებზე. კარგი შთაბეჭდილება მოახდინა წითელ არმიელებზე აგრეთვე ადგილობრივ ქარხანამ. კარგი იქნება ხშირად მოგვიწყობდენ ამხანაგები ასეთ ექსკურსიებს.

წ. არმ. მებადური.

## ცხენ. ლეგ. სკოლა.

3—4 თვეა მას შემდეგ, რაც ლეგიონს გამოეყო სკოლა და გადავიდა ახალ ბინაზე. კურსანტები გულმოდგინეთ და ენერგიულად ეკიდებიან სამხედრო და პოლიტ საქმის შესწავლას. მეცადინეობას ყველა ესწრება. სკოლას აქვს მიზნად დასახული ამ მოკლე ხნის შემდეგ მიაწოდოს ლეგიონს მომზადებული უმცროსი მეთაურები, რათა გაუწიოს საერთო დახმარება სამხედრო სწავლის შეძენაში როგორც 1904 წელში დაბადებულებს, ისე მომავალ ახალ წვეულებსაც.

სკოლა მშვენივრად არის მოწყობილი. ამ ჟამად ვემზადებით საბანაკოდ. ვიმეორებთ ზამთრის განმავლობაში გავლილი პროგრამის კურსს. ვემზადებით აგრეთვე ლეგიონის ხუთი წლის თავისა და 1-ლი მაისისათვის.

სამხედრო პ. ნადარეიშვილი.

### ასეთ სასადილოს არ გვჭონდეს სჯობია

მე-2 ლეგიონის 2 ათასეულის სასადილო სრულიად მოუწყობელია, აუცილებელი საგნებით. არა გვაქვს სკამები. ამას გარდა უსუფთაობაც არის შიგ. ერთი კვირის განმავლობაში მაგიდები გადაუწმენდელი რჩება და საშინელი სუნი ასდის ზედ.

ნეტავ ვიცოდეთ სად არიან ათასეულის ექიმები, რომ ვერ ამჩნევენ ამ მოვლენას? დროა გამოფხიზლდენ და მიიღონ ზომები.

წ. არმ. ჯილრეიშვილი.

## ახალი ნაბიჯი.

მე-2 ლეგიონის მე-2 ათასეული.

ათასეულმა ყველა ასეულებიდან გამოყო ტყვიამფრქვევლები, როგორც მძიმე, ისე მსუბუქი და ცალკე შეაჯგუფა ისინი. წითელ არმიელები გაოცებულნი დარჩენ ამ გარემოებით. მაგრამ როდესაც გაიგეს თუ რაში იყო საქმე, ყველა მოხარული დარჩა.

ყველა გულმოდგინეთ ეკიდება მეცადინეობას რომელიც სისტემატიურად მიმდინარეობს.

17 აპრილს ათასეულის მეთაურმა წაგვიყვანა სამეოადინო მოედანზე გაგვაკეთებინა ტყვიამფრქვევლების სანგრები და აგვიხსნა თუ რა მნიშვნელობა აქვს სანგრებს ბრძოლის დროს, როგორ უნდა სანგრის აგება და შენიღბვა, რა მნიშვნელობა აქვს შენიღბვას. ამასთანავე ერთად გაგვაცნო საზაფხულო პერიოდისა და ბანაკის მნიშვნელობა და რად მივდივართ და რას ვაკეთებთ იქ. ყველა წითელ არმიელები სიხარულით შეხვდნენ ასეთ საუბარს. კარგი იქნება ხშირად მოგვიწყობდენ მას.

სამხედრო ჯ. რეიშვილი.

## კარგად მოვეწყვეთ

მე 4 ლეგიონის საკავშირო ოცეული

ჩვენი ოცეული სამაგალითოდ მოეწყო ამ უკანასკნელად. დაკმაყოფილებული ვართ ყოველმხრივ. მეთაურები ძლიერ კარგ დამოკიდებულებაში არიან წითელ არმიელებთან. სამხედრო და პოლიტიკური ხასიათის მეცადინეობა წარმატებით მიმდინარეობს. გვაქვს ლენინის კუთხე. ლიტერატურა და სხვა საჭირო საგნები ბლომად მოიპოვება. ხშირად ტარდება საუბრები სხვა და სხვა საკითხებზე.

ვაწარმოებთ ხმამაღალ კითხვას. წითელ არმიელები დიდი გულმოდგინეობით ეკიდებიან ყველაფერ ამას.

წ. არმ. ეზიკი.

## რემედასის უჯრედი ჩვენთან

მე-5 ლეგიონის მე-2 ასეული

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ რაც ჩვენს ასეულში დაარსდა რემედასის უჯრედი, რომელშიც ითვლება ოცდაორი წევრი. საწევრო გადასახადი იკრიბება თანამდებობის (ხარისხის) მიხედვით, კრებები ხდება ორკვირაში ერთხელ.

წითელ არმიელები გულმოდგინეთ სწავლობენ თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ საზოგადოებას და როგორ როლს თამაშობს ის რევოლიუციონერთა დახმარების საქმეში. ერთია მხოლოდ, არ გვაქვს შესაფერი პლაკატები, ბროშურები, წიგნები და საერთოდ საჭირო ლიტერატურა. არც მეცადინეობის გეგმა გვაქვს ხელთ.

საჭიროა ყურადღება მიექცეს ყოველივე ამას.

ა. ც—ე.

### არა გვაქვს სინათლე

1-ლ არტლეგიონში ერთი კვირაა, რაც სინათლე არა გვაქვს. ეს გარემოება ხელს უშლის ჩვენ მუშაობას ნაწილში. კარგი იქნება სათანადო ზომებს მიიღებდეს კომენდანტი და უზრუნველგვყოფდეს განათებით.

სამხედრო მინადორაშვილი.

## ჩვენი სამხედრო სამეცნიერო წრის საქმიანობა

1-ლი მესანგრე ასეული.

ჩვენი სამხედრო წრის მუშაობა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. წრე მუშაობს ორი მიმართულებით: 1) მუშაობა ნაწილში და 2) მუშაობა ნაწილის გარედ.

თვით ნაწილში სამხედრო სამეცნიერო წრე არსებობს თითქმის ორი წელია, მაგრამ არავითარი მუშაობა არ უწარმოებია მიმდინარე წლის იანვრამდე. იანვრიდან კი წრე შეუდგა ენერგიულ მუშაობას. ჩამოყალიბდა ორგანიზაციულად. ამ ჟამად ითვლება წრეში 24 კაცამდი. მათში 15 უმცროსი მეთაურებია და 9 საშუალო.

წრის მუშაობა სწარმოებს კვირაში ერთხელ. დამუშავებული და გარჩეულია 6 სპეციალური ხასიათის თემები. უმცროსი მეთაურები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ თემების გარჩევაში შეკითხვებით და კამათით.

თემების დამუშავება ხდება ინდივიდუალურად და ჯგუფობრივ.

**მუშაობა ნაწილის გარედ.**

გარნიზონის სამხ. სამეცნიერო საზოგადოების მიერ 1-ლ მესანგრე ასეულს მომაგრებული ყავს 5-ე ცხრაწლედის შრომის სკოლა, საამშენებლო კავშირის კლუბი და სოფელი ორპირი.

ყველა ამეებთან იქნა მიმაგრებული ნაწილის მიერ ოცეულის მეთაურები სათანადო პროგრამით და 20 თებერვლიდან შეუდგენ მეცადინეობას.

მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენი ნაწილი დიდ იმედებს ამყარებდა საამშენებლო კავშირის კლუბზე, საუბედუროთ არც ერთი მეცადინეობა არ ჩატარებულა.

პირველ მოწვეულ კრებაზე კავშირის ამხანაგები დიდი აღფრთოვანებით შეხვდენ ჩვენ წარმომადგენელს და ჩაეწერა 30 კაცი წრეში და შეგვპირდენ 30 მანეთს კლუბში სამხედრო კუთხის მოსაწყობად. როგორც წევრები, აგრეთვე 30 მანეთიც ჰაერში დარჩა, რის შემდეგ ვთხოვეთ გარნიზონს მოეხსნათ ჩვენი ნაწილი კავშირის კლუბიდან.

დიდის ენერგიით მოკიდა ხელი მუშაობას მეხუთე შრომის ცხრა წლედის სკოლამ, სადაც დღემდე ნაყოფიერად მიმდინარეობს მუშაობა.

წევრების რაოდენობას შეადგენს—119 კაცს. 9 ვაჟია და 110 ქალი. მეცადინეობა სწარმოებს ორ წრეში, სამხედრო წრეში—9 ვაჟი და 17 ქალი. სანიტარულ წრეში—93 ქალია, ჩატარებულია 9 მეცადინეობა თითო წრეში. ორივეში კი 18-ტი, სულ 36 საათი.

მოწყობილია ჩვენი ნაწილის მიერ კუთხეები: სანიტარული, სამხედრო ცოდნის და სასროლო.

სოფ. ორპირში თანახმად გეგმისა უნდა დაგვეარსებია ლენინის კუთხესთან—სამხედრო კუთხე, რომელიც შესრულებულია. გარდა ამისა სოფელში იგზავნება ნაწილიდან წარმომადგენლები. გაკეთებულ იქნა 4 მოხსენება გასამხედროების ირგვლივ.

ნაწილი აწვდის სოფლის კუთხეს 20—30 წიგნს ერთად—ასეულის ბიბლიოთეკიდან, როგორც პოლიტ-ბელეტრისტულ, ისე სამხედრო, რომლებიც წაკითხვის შემდეგ ბრუნდება უკანვე.

ჩვენი ნაწილი იმედოვნებს, რომ მასზე მიმაგრებული სკოლა და სოფელი—მეტი ენერგიით და ხალისით ჩაებმება გასამხედროების საქმეში, სადაც მათ გვერდში მუდამ განუყრელად იდგომება 1-ლი ცალკე მესანგრე ასეული.

ბ. ჯ—ია.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## ჩვენს კომუჯრედში.

ამას წინად შესდგა მე-3 ლეგ. ბატარეის კომუჯრედის კრება. დაესწრენ ცხენოსან ოცეულის წითელარმიელებიც. გაკეთებული იქნა მოხსენება ბატარეის პოლიტ და სამხედრო ხასიათის მუშაობის შესახებ. აღნიშნული იქნა ყველა დეფექტები და მიღწევები. საერთოდ ბატარეის მუშაობა დამაკმაყოფილებლად იქნა ჩათვლილი და გამოითქვა სურვილი, რომ კიდევ უფრო გაძლიერდეს ის. შემდეგ მოსმენილი იქნა მოკლე მოხსენება ლენის ამბების შესახებ, რამაც დიდი შთაბეჭდილება დასტოვა წითელარმიელებზე. განიხილეს აგრეთვე პარტიაში შესვლის მსურველთა განცხადებები.

სამხკორი მხედარი.

## კავშირი სამოქალაქო უჯრედებთან.

მე-3 ლეგიონი.

ლეგიონის ყველა ასეულებში კარგა ხანია, რაც ჩამოყალიბდა ახკომკავშირის ჯგუფები, რომლებსაც კარგი ხელმძღვანელები ყავს. ასეულების ჯგუფებს კავშირი აქვთ სამოქალაქო ორგანიზაციების ჯგუფებთან; ხშირად იმართება მათთან ერთად გაერთიანებული კრებები. ვთანამშრომლობთ ერთმანეთის კედლის გაზეთებში. ვეცნობით სამუშაო გეგმებს და სხვა. ყოველ კვირაობით სამოქალაქო ჯგუფებში გასამხედროების მიზნით ვაწარმოებთ საუბრებს, კომკავშირელ მეთაურების საშვალებით. ამხანაგები სწრაფად ითვისებენ თემებს რაც უმთავრესია დიდი ინტერესით ეკიდებიან სხვა და სხვა იარაღების შესწავლას.

სამხკორი პაქსაშვილი.

## პარტმუშაობა ჩვენს დივიზიონში.

მე 2 საარტილერიო ლეგიონის 1-ლი მსუბუქ დივიზიონში ამას წინად ცოტა დაირღვა პარტმუშაობის ნორმალური მსვლელობა წმომზადებული აქტივის უყოლობის გამო. ამასვე ზედ დაერთო წერტებზე მეცადინეობა, რამაც სავსებით დაქსაქსა აქტივის ისედაც მცირე ჯგუფი. ამა წლის თებერვლიდან, წერტების მოხსნის შემდეგ, შეიკრიბა რა დივიზიონის ძირედი შემადგენლობა და გადავიდა საერთო ყაზარმულ ცხოვრებაში და ხელახლად ჩაეყარა საფუძველი პარტმუშაობის გამოცოცხლებას (თუმცა მოკლევადიან შეკრებებმაც იქონია გავლენა მის წესიერ მსვლელობაზე). იმ მცირე აქტივით, რომელიც მოეპოებოდა, როგორც კომუჯრედს, ისე კომკავშირის ჯგუფს, დაიწყო გეგმიანი მუშაობა პირველი მარტიდან, მაგრამ გეგმა ასი პროცენტით მაინც ვერ შევსრულეთ, რადგანაც არ გვყავდა როგორც საკლუბო მუშაობაში, აგრეთვე სხვა დანარჩენ სკოლის გარეშე მუშაობაში მომზადებული ხელმძღვანელები.

დივიზიონს აქვს თავის ბიბლიოთეკა, მაგრამ არ ყავს მცოდნე ბიბლიოთეკარი. მის მოვალეობას ასრულებს წითელარმიელი, რომელიც სრულებით არ არის გაცნობილი საბიბლიოთეკო საქმეს. დივიზიონში არ არის აგრეთვე დრამატიული წრის ხელმძღვანელი, ამიტომ წრე თუმცა ჩამოყალიბებულია, მაგრამ სინამდვილეში იქ არაფერი არ კეთდება. დანარჩენი წრეები, როგორიცაა: სპორტიული, სამხედრო, ახალგაზრდობის მოძრაობის ისტორიის შესწავლის წრეები დაარსებულია და კიდეც ყავს შესაფერი ხელმძღვანელები.

საჭიროა მიაქციოს ყურადღება ვისაც ეს ევალება.

სამხკორი სპანდელი.

## პიონერები ჩვენთან

3-ე ლეგიონი

კვირას 18 მარტს ჩვენ ლეგიონს ესტუმრენ ტროცკის სახელობის და კოოპერაციის უჯრედის პატარა პიონერები. მოსვლის თანავე დაათვალიერეს ასეულების ლენკუთხეები, სადაც ისინი მეთაურებმა და წითელ არმიელებმა გააცნეს ლენკუთხის მნიშვნელობას და საერთოდ წითელ ყაზარმულ ცხოვრებას.

ასეულების დათვალიერების შემდეგ ნახეს სასადილო და შემდეგ გაეშურენ კლუბისა და ბიბლიოთეკის დასათვალიერებლად. კლუბში ისინი შეაჯგუფა ერთად ლეგ. უფროსმა მასწავლებელმა ამხ. დგებუაძემ და უფრო ვრცლად გააცნო ისინი წითელ ჯარის ცხოვრებას. პატარებმა მისცეს ამხ. მრავალი საინტერესო შეკითხვები. დასასრულ მასწავლებელმა მისცა მათ რამოდენიმე კითხვა თვითმპყრობელობის ჯარისა და წითელ ჯარის ცხოვრების ირგვლივ. აქ პიონერებმა საუცხოვოდ დაახასიათეს, თუ ვის ინტერესებს იცავდა თვითმპყრობელობის ჯარი და როგორ ზრდიდენ მათ, და ვის ინტერესებს იცავს წითელი ჯარი. პატარები კარგი მომზადებული აღმოჩნდენ, რაც უნდა მიეწეროს მათი ხელმძღვანელების ენერგიულ მუშაობას.

სამხკორი ბ. იოსელიანი.

# მოსპეთ ნაკლულევანებანი.

## საჭმელი სუფთად არ კეთდება

ქართ. მეთაურთა გაერთიანებულ სკოლის უმწყობრო და სამწყობრო გუნდების სამზარეულოში დიდ უსუფთაობას აქვს ადგილი. ხშირად კერძში აღმოვაჩენთ ხოლმე სხვადასხვა უსუფთაო ნივთებს. მაგალითად 19 აპრილს აღმოჩენილი იქნა უხვად თაგვის განავალი. წითელ არმიელებს პირი აღარ უხლიათ ამის შემდეგ საჭმლისათვის.

ვახშმათ კი ფლავში ერთი უზარმაზარი დაჟანგული ლურსმანი ვნახეთ. დროა მიაქციონ ყურადღება ამ გარემოებას, სანამ მოგვწამლავდენ რამით.

წ. არმ. ლ. ხახუტაშვილი.

## საჭიროა საათი

1-ლი საკავშირო ასეულის საყარაულო გადაიტანეს სხვა შენობაში. ძველ შენობაში გვქონდა საათი და სამსახურიც წესიერად სრულდებოდა. ახალ შენობაში საათი არა გვაქვს და საგრძნობი არევ-დარევა შეიტანა ამ გარემოებამ სამსახურის ასრულებაში. თავის დროზე არ ხდება გუშაგების გამოცვლა. ხშირად აქვს ადგილი უკმაყოფილებას და საყვედურებს წითელ არმიელებში.

საჭიროა, ვისგანაც ჯერ არს მიღებული იქნეს ზომები საათის შესაძენათ.

წ. არმ. გ—რი.

# სამხედრო ქრონიკა

### მივლინებულის ნივთკმაყოფა

მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო სამეურნეო სამართველომ განმარტა, რომ სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც მივლინებული იქნებიან სხვა სამხედრო ნაწილებში, სანივთოკმაყოფითი დაკმაყოფილებული უნდა იქნეს იმ ნაწილებისაგან, რომელთა შტატში ირიცხებიან მივლინებულები.

### აირსაწინააღმდეგო ნიღაბის გამარტივება.

ამ ჟამად ავიოქიმი აწარმოებს მუშაობას აირსაწინააღმდეგო ნიღაბის გამარტივებისათვის.

ასეთი აირსაწინააღმდეგო ნიღაბი საშვალებას მისცემს თითეულს, როგორც ქალაქში ისე სოფლად—უმნიშვნელო საშვალებათა დახარჯვით თვითონვე დაამზადოს მათი (ნიღაბების) საჭირო რაოდენობა.

### პოლიტმეცადინეობა რკინის გზელებთან.

უკვე დაამტკიცეს რკინის გზელებთან პოლიტმეცადინეობის პროგრამა, რომლებიც გაივლიან ნამდვილ სამხედრო სამსახურს ჯარის გარეშე წესით.

პროგრამა გათვალისწინებულია რკინის გზის ისეთ მოსამსახურეებზე, რომლებსაც გავლილი აქვთ ორწლიანი წვევამდე მზადება—და მიზნათ აქვს დასახული გააცნოს მათ მიმდინარე საერთაშორისო და შინაური ამბები.

# უცხოეთის არმიებში

### ჩან-ცზო-ლინის სამხედრო აკადემია.

მანჯურიის დიქტატორი-გენერალი ჩან-ცზო-ლინი ხსნის ქ. ცონდაოში სამხედრო აკადემიას. აკადემიაში იწვევენ რუს თეთრგვარდიელებს.

აკადემია მისცემს სამხედრო მომზადებას მუკდენის არმიის მეთაურთა შემადგენლობას. აკადემია გათვალისწინებულია 75 კაცისათვის. იტყობინებიან, რომ რუს თეთრგვარდიელები, რომლებიც გაბნეული არიან ჩინეთის სხვა და სხვა კუთხეებში აპირებენ აკადემიაში შესვლას.

### სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებულებზე გადასახადის შემოღება პოლონეთში.

პოლონეთის სამხედრო მინისტრმა მინისტრთა საბჭოში შეიტანა პროექტი ისეთი კანონის შემუშავებისათვის, რომლის ძალით სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებულ ყველა მოქალაქეებზე უნდა დაწესდეს სპეციალური გადასახადი.

# ახალი ამბები.

— **ახალი ქარხანა.** სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს განზრახული აქვს ქსანში ააგოს ხე-ტყის ქარხანა.

— **სახლების ასაგებათ.** კომუნალურმა ბანკმა გადასდო 300 ათასი მანეთი საბინაო-სა ამშენებლო კოოპერატივებისათვის სესხათ მისაცემათ.

— **მუშკოპის გამგეობამ** მუშებს გაუხსნა სავაჭროებში 4 ათასი მანეთის კრედიტი.

— **საკურორტო გადამრჩევი** კომისია შეუდგა აგარაკებზე დაზღვეულთა გასაგზავნათ მუშაობას.

**ახლო ხანში** აღმასკომი გახსნის ლეღვთა და ბავშთა ახალ სახლს, სადაც მოთავსდება 100 ბავშვი.

— **მუშათა ცენტრალური** კლუბი გადაეცა მეტალისტთა, რკინისგზელების და გემთ-კვებების პროფკავშირებს.

# ამბები სოფლებიდან.

**საექიმო პუნქტი სოფლად.** სოფ. დოესში (გორ მაზრა) იხსნება საექიმო პუნქტი.

**თათბირის მოწყობა.** თელავის აღმასკომმა დაადგინა მოაწყოს სარაიონო მილიციის უფროსების თათბირი.

**სენაკის აღმასკომი** შეუდგა გლეხთა სახლის შეკეთებას.

**ახალქალაქის** სამაზრო გლეხკომში შეუდგა თემებში „შრომის ფონდების" მოწყობას.

**ახალციხის აღმასკომმა** დაადგინა მიამაგროს სათემო აღმასკომებს თავის წევრები.

**ბორანი.** ახალციხის აღმასკომმა გააკეთა ბორანი სოფ. აგარაში.

## პასუხი შეკითხვებზე

— მონიავას. აგვისტოში ან ენკენისთვეში.

— ლეჟავას. მართალია თქვენ დაბადებული ხართ 1901 წ., მაგრამ გამოწვეული ხართ 1902 წ. დაბადებულებთან ერთად. ამიტომ უნდა იმსახუროთ მათთან ერთად ა. წ. შემოდგომამდე.

— მთიულიშვილს. თქვენი შეკითხვის შესახებ თავის დროზე იქნება ბრძანება.

— მასვე. მიმართეთ დივიზიის პარტკომისიას.

— კაჟს. ცოლშვილიანი თუ ხართ შეგიძლიათ კერძო ბინაზე ცხოვრება, მხოლოდ უფროსის ნებართვით.

— იგივეს. გეკუთვნით.

— ხ. ფ. თუ თემის ხელისუფლება ყურადღებას არ აქცევს თქვენს ოჯახს, მიმართეთ სამხედრო პროკურორს.

— მასვე. მიმართეთ ფოსტას.

— ნ. ფ. ა. წ. შემოდგომაზე.

— გელაშვილს. ოჯახური მდგომარეობის მიხედვით თქვენ არ იქნებით განთავისუფლებული. დახმარებისათვის უნდა მიმართოთ გლეხკომს და აღმასკომს.

— ე—ტს. თუ კურსები არ გაგითავებიათ, მაშინ უნდა იმსახუროთ ორი წელიწადი.

— დემეტრაშვილს. უნდა მიმართოთ რკინის გზის ადმინისტრაციას.

— ა.—ნს. ჯარში გაწვევის გამო თქვენ სოფელში მიწა არ ჩამოგერთმევათ. შეგიძლიათ მიწა გასცეთ იჯარით სამსახურის გათავებამდე. (მიწის კოდექსი მუხ. 17 და 26 და სავალდ. სამხ.სამს. კანონი მუხ. 197.)

— შე—ძეს. თუ გაწვევის დროს თქვენს რჩენაზე ნამდვილად იმყოფებოდა სამი სული შრომის უნარ მოკლებული, არ უნდა ჩაგრიცხეთ კადრში. შეგიძლიათ გაასაჩივროთ მთავარ მიმღებ კომისიასთან თანახმად სამხ. სავალდ. სამს. კანონის მუხ. 105 ძალით

— კ—ძეს. საავიაციო სკოლაში შესასვლელად საჭიროა მეორე საფეხურის სკოლის დამთავრება.

— ნუცუბიძეს. შვებულებაზე უარი გეთქვათ კანონიერად. (ბრ. №865—25წ.)

— ფა—ვას. ტერნაწილში გადაყვანილი არ იქნებით (ბრ. №834—25 წ.)

— ჭალადიდელს. ორ წელზე ნაკლები სამსახური ჯარში არ ჩაგეთვლებათ ნამდვილ სამხ. სამსახურათ (სამხ. საზღ. კომ. ცირკ. №71 | 25 წ.

— ოჭრიაძეს. მოგეცემათ.

— სპირიდონს. კერძო ბინაზე ცხოვრება არ შეგიძლიათ. (ბრ. №1288—24 წ.)

## ჩვენი ფოსტა.

მეთვალყურეს. თქვენი წერილი „უდანაშაულოდ" დასჯილი მეთაურები, გადაეგზავნა ნაწილის უფროსს საქმის ადგილობრივ გამოსარკვევად.

ვ. ჯაფარიძეს. თქვენი წერილი ცვალებადელების შესახებ ძლიერ დაგვიანებულია. არ დაიბეჭდება.

ნ. თავართქილაძეს, ნიკურაძეს, გულკეთილს და კახიძეს—თქვენი კორესპონდენციები—„კურსანტები პრაქტიკაზე", „სასურველი არის ასეთი სტუმარი", „მრავალჯერ ასეთი გასამართლება", და „კარგათ ვსწავლობთ ცხენოსნობას" იყო. მეორედ აღარ დაიბეჭდება.

შრაპნელს, ვ—ე-ს, იოსელიანს, რევიშვილს და მოწაფეს—თქვენი კორესპონდენციები მეტად უმნიშვნელო საკითხებს ეხებიან. მოიწერეთ სხვაზე.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-3-მე ლეგიონის ბიურო-კოლექტივში შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტიის კანდიდატობიდან წევრად გადარიცხვის შესახებ შემდეგ ამხანაგებს: 1) ლომთაძე დომენტი ოქროპირისძეს, 2) რუდოვსკი ივანე რომანოსისძეს, 3) ძოძუაშვილი იოსებ სიმონისძეს, 4) კვანტალიანი შალვა სპირიდონისძეს და კომკავშირის წევრობიდან კომპარტიის კანდიდატად გადარიცხვის შესახებ: 1) ბერიშვილი ევგრაფი თელემხანისძეს, 2) გაგვიშვილი პეტრე ივანესძეს, 3) ჩიტორელიძე აკაკი სოლომონისძეს, 4) ჩახუტაშვილი შალვა იოსებისძეს, 5) სალუქვაძე დავითი იოსებისძეს, 6) წიტაიშვილი ზაქარო ანდროსძეს, 7) თუმანოვი გიორგი აბრამისძეს და უპარტიო—გიორგაძე ამირან ნიკოლოზისძეს.

თუ ვინმეს გაქვთ რაიმე საწინააღმდეგო აწ ამხანაგების პარტიაში მიღებაზე, გთხოვთ გვაცნობოთ მე-3 ლეგიონის ბიურო კოლექტივში.

**დაკარგე** პირადობის მოწმობა №158 და სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის წიგნაკი სიმონ გერასიმესძე მელქაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა ქუცხოველის ქ. № 3. დრ. პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ადამაძე.